ხელშეკრულება № 02

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ს¹“ ქვეპუქნტის პუნქტის შესაბამისად

ქ. ამბროლაური თამარ მეფის N1 **06 იანვარი** 2020წ

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ”, (შემდგომში ,,შემსყიდველი”) მისი დირექტორის ეკატერინე კიბაბიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს **„ნება“**–ს დირექტორი მერაბ კაჭკაჭაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, (მისამართი:,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებისათვის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტებს მიმწოდებელი მიაწვდის, ხოლო შემსყიდველი შეისყიდის დანართ №1-ში მოცემულ სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტებს.დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

1.3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ჯეროვანი მიწოდება,

1.4**კლასიფიკატორის კოდი**

CPV15400000 რაფინირებული ზეთი
CPV152210000 გაყინული თევზი (უთაო ხეკი)
CPV15614100-ბრინჯი
CPV15625000-მანანი.
CPV15625000-ჰერკულესი
CPV15612100- პურის ფქვილი
CPV1530000 ტომატ-პასტას
CPV15332290- ჯემი.
CPV15612210 –სიმინდის ფქვილი.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს (ლარი და 00თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით.

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია საბავშვო ბაღებში საქონლის მიწოდების დროს ზედნადების/ანგარიშფაქტურის საფუძველზე გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი არანაკლებ ორ ეგზემპლარად, ერთი დატოვოს საბავშვო ბაღში, ხოლო მეორე ეგზემპლარი წარმოადგინოს ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ადმინისტრაციაში.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი, ვადა და გრაფიკი

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ მოთხოვნის შესაბამისად. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 08 იანვრიდან 31 ივლისის ჩათვლით.

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო
დაწესებულების ფილიალების მისამართზე:

1. სოფ.ნიკორწმინდის საბავშვო ბაღი.
2. სოფ.ლიხეთის საბავშვო ბაღი.
3. სოფ.წესის საბავშვო ბაღი.
4. სოფ.ხიდიკრის საბავშვო ბაღი.
5. სოფ.სადმელის საბავშვო ბაღი.
6. სოფ.ჭრებალოს საბავშვო ბაღი.
7 სოფ.ბუგეულის საბავშვო ბაღი.
8. სოფ.ჭელიაღელის საბავშვო ბაღი.
9. სოფ. ჭვიშის საბავშვო ბაღი.
10. სოფ.ხვანჭკარის საბავშვო ბაღი.
11 სოფ.ურავის საბავშვო ბაღი.
12. სოფ.ბოსტანის საბავშვო ბაღი.
13. სოფ.ჟოშხის საბავშვო ბაღი.
14 .ამბროლაურის საბავშვო ბაღი.

მუხლი 5.საქონლის შესაბამისობა ნორმატიულ დოკუმენტებთან

5.1 საქონელი უნდა შეესაბამებოდეს / აკმაყოფილებდეს:

ა) საქონლის ტექნიკური მაჩვენებლები,შეფუთვის ტრანსპორტირებიდა და შენახვის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს.

ბ) არსებული ნორმატიული ტოკუმენტის ცვლილების ან/და ახალი ნორმატიული დოკუმენტ (ებ) ის შემოღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტი და მასთან დაკავშირებული გარემოებები შეუსაბამოს შეცვლილ გარემოებებს.

5.2 საკვები პროდუქტი ყოველი პარტია უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ–ჰიგიენურ ნორმატივებს:საკვები პროდუქტების დაფასოება და შეფუთვა უნდა უზრუნველყოფდეს მისი ხარისხის და უსაფრთხოების შენარჩუნებას, საკვებ პროდუქტს უნდა ქონდეს ეტიკეტი ქარტულ ენაზე:

ა) პროდუქტის დასახელება და მისი სახეობა.
ბ) ორგანიზაცია–დამამზადებლის დასახელება და კატეგორია.
გ) შენახვის პირობა.
დ) ვარგისიანობის–ვადა და თარიღი

საკვები პროდუქტის შენახვისა და ტრანსპორტირებისას დაცული უნდა იქნას სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

5.3 დაუშვებელია საკვები პროდუქტების, სასურსათო ნედლეულის რეალიზაცია.

5.4 ყოველ მიწოდებულ პარტიას თან უნდა ახლდეს წარმოშობის და ხარისხის შესაბამისი სერთიფიკატი.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების სესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულების მითითებულ ვადებში შემსყიდველს წერილობითთი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით. შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ანმისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელა არ მიაწოდა სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

7.3 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0.2%-ის ოდენობით, ყოველ ვადგადაცილებულ დღეზე.

7.4 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლო მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას 5%–ს შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შ მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%–ის ოდენობით.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 ხელსეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სათანადო პირები .

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშვალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ სემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მიტ შორის ანაზღაურება უზრუნველყოს თვით შემსყიდველმა.

8.4 შემსყიდველს ან მოს წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 9. ფორს–მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმებელი თავიანთი ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა,ხანზარი, მიწისძვა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები,ეკსპორტისა და იმპორტის აგრძალვა თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე

9.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს–მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3 მხარემ რომელიც შექმნა ფორსმაჟორული გარემოება,დაუყონებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ წერილობით მეორე მხარეს. მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენებმა ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითთი ფორმით, ორივე მხარის უფებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელსეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა,ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4 „ხელსეკრულების“ პირობების მათ შორის, ფასების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“ გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლის გათვალისწინებულ შემთხვევისა “ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმებლობით დადგენილი წესით.

10.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში

„ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.6. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 05 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

17 . მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი

სააღმზრდელო დაწესებულება

მის/ ქ.ამბროლაური. თამარ მეფის ქ.N1

საიდენტიფიკაცო კოდი: 422990339

მომხმარებელი ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

სახაზინო კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

მობ: 599141503

დირექტორი: /ეკატერინე კიბაბიძე/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს **„ნება“**–ს მერაბ კაჭკაჭაშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი 422722575

ქალაქი/დაბა/სოფელიდ: აბასთუმანი

მისამართი: შ. რუსთაველის №64

ტელეფონი+99598144988

ფაქსი+995

ელ-ფოსტა: tatoidoidze@yahoo.com

მომსახურე ბანკის.ს.

საქართველოს ბანკი მომსახურე ბანკის კოდი BAGAGE22

ანგარიშის ნომერი GE52BG0000000767382200

შ.პ.ს „ნება“–ს დირექტორი: /მერაბ კაჭკაჭაშვილი/

Merab Kachkachashvili

Digitally signed by Merab Kachkachashvili
Date: 2020.01.06 12:39:08 +04'00'

დანართი N1

N	პროდუქტის დასახელება	მახასიათებლები	ზომის ერთ.	წარმოშობის ქვეყან	მწარმოებელი	რაოდ.	ერთ.ფასი	ჯამი
1	ბრინჯი	უმაღლესი ხარისხის, ფერი თეთრი, შეფუთვა ქარხნული წესით ცელოფნის პარკებში ქართული ეტიკეტირებით სუნი პროდუქტისათვის დამახასიათებელი, ობისა და ნესტის გარეშე, ორგანოლეპტიკური მახასიათებლები (ფერი, სუნი, გემო) ნორმაში, ფორმაგრძელი. შესაბამისი მარკირებით, ვარგისიანობის ვადის მწარმოებელი ქვეყნისა და კომპანიის მითითებით. არაგენმოდიფიცირებული. ვარგისიანობის ვადის მითითებით. ტრანსპორტირების პირობები უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილმოთხოვნებს და მოქმედ სტანდარტებს.	კგ	ტაილანდი	დაფასოებ ული საქართველოში შპს დაკო ტრეიდის მიერ (ბრენდი ნუზლი)	550	2.3	1265
2	თევზი (ხეკი)	ცივი წყლის თევზი, უმაღლესი ხარისხის, გაყინული, უთავო, "ხეკი"-ს შეფუთული ქარხნული წესით ქართული ეტიკეტირებით სუნი პროდუქტისთვის დამახასიათებელი, უცხო სუნის გარეშე, ხორცი თეთრი ფერის შეფერილობის. საცალო პროდუქტის წონა არანაკლებ 0,1 კგ-ისა, მიკრობიოლოგიური, ფიზიკოქიმიური და სანიტარულ-ჰიგიენური მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს. ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სადაც დაცული იქნება ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები ეტყობოდეს დეფროსტაციის კვალი, არ უნდა იყოს გადაკრული	კგ	კანადა	west fish	310	9.5	2945

		სკოჩით ან/და სხვადასხვა საიზოლაციო საშუალებებით., გამღვალი და შემდეგ გაყინული თევზის მიღება დაუშვებელია.მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის დარჩენილი ვადა საერთო ვადისა რანაკლებ 80-85%.						
3	მანანის ბურღული	ფერი მოყვითალო,ობის,ნესტის გარეშე. ქარხნული შეფუთვით არაუმეტეს 1კგ-დე დაფასოებით.ვადებისა და შენახვის პირობების მითითებით.მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის დარჩენილი ვადა უნდა იყოს საერთო ვადისა არანაკლებ 80-85%.	კგ	რუსეთი	и.п. пащенко ирина николаевна (კორონას დაფასოებ ული მანი 0.8 გრამიანი)	170	2.4	408
4	მც. ზეთი	მზესუმზირის ზეთი,რაფინირებული, ფერი, სუნი და გემო დამახასიათებელი, არ შეიცავს ორგანიზმისათვის საშიშ და აკრძალულ საკვებ დანამატებს. დაფასოებული ქარხნული წესით პოლიეთილენის ქილებში მოთხოვნის შესაბამისად. 0.500 იდან– 1 ლტ. შეფუთვებში მოთხოვნის შესაბამისად.არ შეიცავს გმდ	კგ	რუსეთი	კომპანია ბლაგო	170	3.8	646
5	სიმინდის ფქვილი	თეთრი,სუფთა, მშრალი, ობის, ნესტის და უცხო მინარევების გარეშე. დაფასოება მოთხოვნის შესაბამისად. ქარხნული წესით,ეტიკეტირებით ,	კგ	საქართველო	გურული	350	3.5	1225
6	ტომატ-პასტა	უმაღლესი ხარისხის დამზადებული 100% ნატურალური პომიდორისგან, დაფასოებული უნდა იყოს არაუმეტეს 1 კგ–იან მინის ჭურჭელში,ქარხნული წესით.მინიშნებული უნდა იყოს შემადგენლობა, არ უნდა შეიცავდეს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს და ქიმიურ მინერავებს,შესაბამისი მარკირებით მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საერთო ვადის 70%	კგ	რუსეთი	შპს აფინა ბრენდი კუბანსკაია დალინა (0.250 კგ. 0.480 კგ. და1კგ. შუშის შეფუთვით)	150	5.5	825
7	შვრიის ფანტელი	საშუალო ფანტელი, სწრაფი მომზადებისთვის. ობის,ნესტის გარეშე. ქარხნული შეფუთვით არაუმეტეს 1კგ-დე დაფასოებით.ვადებისა და	კგ	რუსეთი	სას პეტერბურგის წისქვილკომბინატ	51	4.2	214

		შენახვის პირობების მითითებით.მიწოდებული საქონლის ვარგისიანობის დარჩენილი ვადა უნდა იყოს საერთო ვადისა არანაკლებ 80-85%						
8	ხორბლის ფქვილი	უმაღლესი ხარისხის შესაბამისი მარკირებით, ვარგისიანობის ვადის მითითებით. 1 კგ ქარხნულ შეფუთვაში ვადით და ეტიკეთირებით.	კგ	საქართველო	პროგრესი	560	2.3	1288
9	ჯემი	დაფასოებული უნდა იყოს არაუმეტეს 1 კგ–იან მინის ჭურჭელში,ქარხნული წესით დამზადებული 100% ნატურალური სხვადასახვა ხილისგან.არ უნდა შეიცავდეს კონსერვატებს, საღებავებსა და არომატიზატორებს. საშუალო სისქის, მიწოდებული საქონლის დარჩენილი ვარგისიანობის ვადა საერთო ვადის 50%.	კგ	საქართველო	გსქ კულა (0.65 და 0.9კგ შეფუთვაში)	138	4.5	621
	ჯამი							**9437.20**

შემსიდველი:

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი

სააღმზრდელო დაწესებულება დირექტორი: /ეკატერინე კიბაბიძე/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „ნება“–ს დირექტორი: /მერაბ კაჭკაჭაშვილი/

Merab Kachkachashvili

Digitally signed by Merab Kachkachashvili
Date: 2020.01.06 12:39:37 +04'00'